1966/2 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 11 (310)

1966 წლის ნოემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 11 (310) ნოემბერი 1966 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ.

183. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

184. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

185. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას.

186. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ქ. თბილისის ლენინისა და პირველი მაისის რაიონებსა და ქალაქ ფოთში.

187. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესრულების შესახებ ახალციხის, ახმეტის, ორჯონიკიძისა და წალენჯიხის რაიონებში.

### განყოფილება მეორე

188. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

189. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

 № 11

190. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მილიციის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. ქ. ჯიოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

192. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

193. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. ესაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

194. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**181** **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია 1966 წლის 27 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1966 წლის 26 ნოემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**182** **საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე თავს „დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ“ შემდეგი შინაარსის მუხლები $206^1$, $206^2$ და $206^3$:

**„მუხლი $206^1$. გავრცელება შეგნებულად ცრუ მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას.**

სიტყვიერი ფორმით სისტემატური გავრცელება შეგნებულად ცრუ მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას, აგრეთვე ამავე შინაარსის ნაწარმოებების წერილობით, ბეჭდვით ან სხვა ფორმით დამზადება თუ გავრცელება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

**მუხლი $206^2$. სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა.**

სსრ კავშირის, საქართველოს სსრ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე.

**მუხლი $206^{3}$. ორგანიზება ან აქტიური მონაწილეობა ჯგუფურ მოქმედებაში, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს**

ორგანიზება, აგრეთვე აქტიური მონაწილეობა ჯგუფურ მოქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონიერი მოთხოვნებისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან, ან რომელსაც მოჰყვა ტრანსპორტის, სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებათა ან საწარმოთა მუშაობის შეფერხება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1966 წლის 30 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 183 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დადგინდეს, რომ საქმის წინასწარ გამოძიებას სისხლის სამართლის იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით:

$206^{1}$ — „გავრცელება შეგნებულად ცრუ მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას“,

$206^{2}$ — „სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა“,

$206^{3}$ — „ორგანიზება ან აქტიური მონაწილეობა ჯგუფურ მოქმედებაში, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს“,

აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მესამე ნაწილს ციფრების შემდეგ „186-196“ დაემატოს შემდეგი ციფრები: „$206^{1}$, $206^{2}$, $206^{3}$“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $206^{1}$, $206^{2}$ და $206^{3}$ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა განსჯა ეკუთვნის საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლს ციფრების შემდეგ „192-195“ დაემატოს ციფრები „$206^{1}$, $206^{2}$, $206^{3}$“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1966 წლის 30 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 184 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მუხლები 58-ე, 96-ე, 180-ე, 283-ე და 288-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 58.** სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, ექსპერტისა და სპეციალისტის აცილება.

ამ კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლებში ჩამოყალიბებული წესები ეხება სასამართლო სხდომის მდივანს, თარჯიმანს, ექსპერტსა და სპეციალისტს, ამასთან საქმეში მათი ადრინდელი მონაწილეობა როგორც მდივნისა, თარჯიმნის, ექსპერტისა და სპეციალისტისა, არ შეიძლება იქნეს აცილების საფუძველი.

მდივნის აცილება უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, რომელიც განიხილავს საქმეს.

თარჯიმანს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის წარმოებაში აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა, რომ იგი საკმარისად ვერ ფლობს იმ ენებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია თარგმნისთვის.

ექსპერტს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის წარმოებაში აგრეთვე მაშინ, როცა არსებობს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძველი:

ა) თუ იგი სამსახურებრივად ან სხვა მხრივ იყო ან ამჟამად არის დამოკიდებული ბრალდებულისაგან, დაზარალებულისაგან, სამოქალაქო მოსარჩლის ან მოპასუხისაგან;

ბ) თუ მან ჩაატარა რევიზია ამ საქმის გამო ან შეაგროვა სხვა მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ან სამოქალაქო სარჩელის წარდგენას;

გ) თუ იგი მონაწილეობდა ამ საქმეში როგორც სპეციალისტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ექიმი-სპეციალისტი სასამართლო მედიცინის დარგში, მონაწილეობს გვამის გარეგნულ დათვალიერებაში;

დ) იმ შემთხვევაში, თუ იგი არაკომპეტენტური აღმოჩნდა.

თუ არის ამ მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტებში მითითებული საფუძვლები, საქმის წარმოებაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია არც სპეციალისტს.

მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების წარმოებისას თარჯიმნის, ექსპერტის და სპეციალისტის აცილების საკითხს წყვეტს შესაბამისად ის პირი, რომელიც აწარმოებს მოკვლევას, გამომძიებელი ან პროკურორი, ხოლო სასამართლოში — სასამართლო, რომელიც განიხილავს ამ საქმეს“.

**„მუხლი 96.** საგამომძიებლო მოქმედების ოქმი.

საგამომძიებლო მოქმედების ოქმს ადგენს გამომძიებელი გამოძიების მსვლელობის დროს ან უშუალოდ მისი დამთავრების შემდეგ

ოქმში მითითებული უნდა იქნეს საგამომძიებლო მოქმედების წარმოების ადგილი და თარიღი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, ოქმის შემდგენის თანამდებობა და გვარი, საგამომძიებლო მოქმედების მონაწილე ყველა პირის სახელი, მამის სახელი და გვარი, ხოლო თუ აუცილებელია — მათი მისამართიც, საგამომძიებლო მოქმედების შინაარსი და საქმისათვის არსებითი გარემოებანი, რომელიც აღმოჩნდება მისი წარმოების დროს. თუ საგამომძიებლო მოქმედების წარმოებისას გამოყენებული იყო ფოტოგრაფირება, კინოგადაღება, ხმის ჩაწერა, ან თუ გაკეთდა კვალის ტვიფარი და ანაბეჭდი, მაშინ ოქმში აგრეთვე მითითებული უნდა იქნეს, თუ რა ტექნიკური საშუალებანი იყო გამოყენებული შესაბამისი საგამომძიებლო მოქმედების წარმოებისას, მათი გამოყენების წესი და პირობები, ის ობიექტები, რომელთა მიმართაც იყო გამოყენებული ეს საშუალებანი და მიღებული შედეგები. გარდა ამისა, ოქმში უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული ის პირნი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საგამომძიებლო მოქმედების წარმოებაში.

ოქმს უკითხავენ საგამომძიებლო მოქმედების ყველა მონაწილეს; ამასთან მათ უნდა განუმარტონ, რომ უფლება აქვთ გააკეთონ ოქმში შესატანი შენიშვნები.

ოქმს ხელს აწერენ: გამომძიებელი, დაკითხული პირი, თარჯიმანი, სპეციალისტი, დამსწრენი და სხვა პირნი, თუ ისინი მონაწილეობას იღებენ საგამომძიებლო მოქმედების წარმოებაში.

ოქმს თან ერთვის ფოტოგრაფიული ნეგატივები და სურათები, კინოფირები, დიაპოზიტივები, დაკითხვის ფონოგრამები, გეგმები, სქემები, კვალის ტვიფრები და ანაბეჭდები, რომლებიც შესრულებულია საგამომძიებლო მოქმედების წარმოების დროს".

„**მუხლი 180.** გვამის დათვალიერების წესი.

გვამს გარეგნულად ათვალიერებს გამომძიებელი დამსწრეთა და სასამართლო მედიცინის სპეციალისტის — ექიმის მონაწილეობით, ხოლო თუ ამ უკანასკნელის მონაწილეობა შეუძლებელია — რომელიმე სხვა ექიმის მონაწილეობით. თუ აუცილებელია, გვამის დასათვალიერებლად მოიწვევენ სხვა სპეციალისტსაც.

როცა აუცილებელია დამარხვის ადგილიდან გვამის ამოღება, გამომძიებელს ამის შესახებ გამოაქვს დადგენილება. გვამის ამოღებას ესწრებიან გამომძიებელი, დამსწრენი, სასამართლო მედიცინის სპეციალისტი-ექიმი, ხოლო თუ აუცილებელია — სხვა სპეციალისტიც".

„**მუხლი 283.** სამართალში მიცემულის იმ ჩვენებათა გამოქვეყნება, რომლებიც მიცემულია მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების დროს.

სამართალში მიცემულის იმ ჩვენებათა სასამართლოში გამოქვეყნება, რომლებიც მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების დროს იყო მიცემული, აგრეთვე მისი ჩვენების ხმის ჩანაწერის რეპროდუქცია, რომელიც თან ერთვის დაკითხვის ოქმს, დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) თუ იგი არსებითად განსხვავდება იმ ჩვენებისაგან, რომელიც სამართალში მიცემულმა სასამართლოს მისცა;

2) თუ სამართალში მიცემული უარს ამბობს ჩვენება მისცეს სასამართლოს;

3) თუ საქმეს განიხილავენ სამართალში მიცემულის დაუსწრებლად.

ამავე წესით ხდება სამართალში მიცემულის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენების გამოქვეყნებაც.

დაუშვებელია ხმის ჩანაწერის რეპროდუცირება, თუ წინასწარ არ იქნა გამოქვეყნებული ჩვენებები, რომლებიც შეტანილია შესაბამის დაკითხვის ოქმში ან სამსჯავრო სხდომის ოქმში. სამსჯავრო სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს; რომ რეპროდუცირებული იყო ხმის ჩანაწერი".

**„მუხლი 288.** მოწმის მიერ მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების გამოქვეყნება.

მოწმის მიერ მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების, აგრეთვე დაკითხვის ოქმზე დართული მისი ჩვენების ხმის ჩანაწერის რეპროდუქცია დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ ეს ჩვენებები არსებითად განსხვავდება იმ ჩვენებისაგან, რომელიც მოწმემ მისცა სასამართლოს.

2) თუ მოწმე არ ესწრება სამსჯავრო სხდომას ისეთი მიზეზით, რომელიც მის გამოცხადებას სასამართლოში შეუძლებელს ხდის.

3) თუ მოწმეს გადაავიწყდა ის გარემოებანი, რომელთა შესახებაც მან ჩვენება მისცა.

ამავე წესით ხდება მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენების გამოქვეყნებაც.

დაუშვებელია ხმის ჩანაწერის რეპროდუქცია, თუ წინასწარ არ იქნა გამოქვეყნებული ჩვენებები, რომლებიც შეტანილია შესაბამის დაკითხვის ოქმში ან სამსჯავრო სხდომის ოქმში. სამსჯავრო სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს, რომ რეპროდუცირებული იყო ხმის ჩანაწერი".

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $96^1$, $134^1$, $251^1$ და $278^1$ მუხლები:

**„მუხლი $96^1$. დაკითხვის დროს ხმის ჩაწერის გამოყენება.**

ბრალდებულის, ექვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხმის ჩაწერა, თუ მას საჭიროდ მიიჩნევს გამომძიებელი. ხმის ჩაწერის გამოყენება შეიძლება აგრეთვე ბრალდებულის, ექვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის თხოვნით.

გამომძიებელი იღებს გადაწყვეტილებას ხმის ჩაწერის შესახებ და დაკითხვის დაწყებამდე აცნობებს ამას დასაკითხავ პირს.

ხმის ჩანაწერი უნდა შეიცავდეს ამ კოდექსის 96-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულ ცნობებს და დაკითხვის მსვლელობას მთლიანად. დაუშვებელია ხმის ჩაწერა დაკითხვის მხოლოდ ნაწილისა, ანდა იმავე დაკითხვის დროს მიცემულ ჩვენებათა გამეორება სპეციალურად ხმის ჩაწერისათვის.

დაკითხვის დამთავრების შემდეგ ხმის ჩანაწერს მთლიანად ასმენინებენ დაკითხულს. ფონოგრამაზე შეაქვთ აგრეთვე ხმის ჩანაწერის მოსმენის შემდეგ ჩვენებაზე დასამატებლად დაკითხულის მიერ მიცემული ცნობები. ხმის ჩაწერა მთავრდება დაკითხულის განცხადებით, რომელიც ადასტურებს მის სისწორეს.

ხმის ჩაწერის გამოყენებით დაკითხვის დროს მიღებული ჩვენებები შეიტანება დაკითხვის ოქმში ამ კოდექსის წესების შესაბამისად. დაკითხვის ოქმში აგრეთვე აღნიშნული უნდა იქნეს: რომ გამოყენებული იყო ხმის ჩაწერა და დასაკითხმა პირმა იცოდა ამის შესახებ, თუ რა ტექნიკური საშუალებები იყო გამოყენებული და რა პირობებში მიმდინარეობდა ხმის ჩაწერა, დასაკითხი პირის განცხადება ხმის ჩაწერის გამოყენების შესახებ, რომ მან მოისმინა ხმის ჩანაწერი, ოქმისა და ხმის ჩანაწერის სისწორის დადასტურება დაკითხული პირისა და გამომძიებლის მიერ. ფონოგრამა ინახება საქმესთან ერთად და წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ დაილუქება.

იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელი სხვა საგამომძიებლო მოქმედების წარმოების დროსაც, მიმართავს ჩვენებათა ფონოგრამის რეპროდუცირებას, იგი ვალდებულია აღნიშნოს ეს შესაბამის საგამომძიებლო მოქმედების ოქმში“.

„**მუხლი 134[1]**. სპეციალისტის მონაწილეობა.

იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსით, გამომძიებელს უფლება აქვს საგამომძიებლო მოქმედების წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად გამოიძახოს სპეციალისტი. გამომძიებლის მოთხოვნა სპეციალისტის გამოძახების შესახებ სავალდებულოა იმ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, სადაც სპეციალისტი მუშაობს.

საგამომძიებლო მოქმედების დაწყების წინ, რომელშიც სპეციალისტი მონაწილეობს, გამომძიებელი რწმუნდება სპეციალისტის პიროვნებაში და მის კომპეტენტურობაში, არკვევს მის დამოკიდებულებას ბრალდებულისა და დაზარალებულისადმი. გამომძიებელი განუმარტავს სპეციალისტს, თუ რა უფლებამოვალეობანი აქვს მას და აფრთხილებს, რომ იგი პასუხს აგებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში, რაც აღინიშნება შესაბამისი საგამომძიებლო მოქმედების ოქმში და დასტურდება სპეციალისტის ხელმოწერით.

სპეციალისტი ვალდებულია: გამოცხადდეს გამოძახებისთანავე, მონაწილეობა მიიღოს საგამომძიებლო მოქმედების წარმოებაში, რათა თავისი სპეციალური ცოდნის და დახელოვნების გამოყენებით დაეხმაროს გამომძიებელს დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენასა, დამაგრებასა და ამოღებაში, გამომძიებლის ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენასთან, დამაგრებასთან და ამოღებასთან, განუმარტოს გამომძიებელს მის მიერ შესრულებული მოქმედებანი.

სპეციალისტს უფლება აქვს დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენასთან, დამაგრებასთან და ამოღებასთან დაკავშირებით გააკეთოს ოქმში შესატანი განცხადებანი.

თუ სპეციალისტი უარს იტყვის ან თავს არიდებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები ან დაეკისროს ფულადი ჯარიმა ათ მანეთამდე. ფულად ჯარიმას დააკისრებს სასამართლო, იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 253-ე მუხლის მეორე ნაწილში“.

**„მუხლი 251**[1]. სპეციალისტის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში.

ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოში შეიძლება გამოძახებულ იქნეს სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობს სასამართლო განხილვაში იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 134[1] მუხლით“.

**„მუხლი 278**[1]. სპეციალისტისათვის მისი უფლება-მოვალეობანის განმარტება.

სხდომის თავმჯდომარე განუმარტავს სპეციალისტს მის უფლება-მოვალეობებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 134[1] მუხლით და აფრთხილებს, რომ იგი პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე ან თავს აარიდებს მათ“.

3. 53-ე, 95-ე, 105-ე, 106-ე, 139-ე, 161-ე, 169-ე, 175-ე, 179-ე, 183-ე, 201-ე, 202-ე, 203-ე, 231-ე, 263-ე, 266-ე, 274-ე, 275-ე, 279-ე, 281-ე, 293-ე და 295-ე მუხლებში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

53-ე მუხლის პირველი ნაწილის 1-ელ პუნქტს სიტყვის „ექსპერტი“-ს შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტი“;

95-ე მუხლის პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„ოქმი შეიძლება იყოს ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი საბეჭდ მანქანაზე. ოქმის სისრულის უზრუნველსაყოფად შეიძლება სტენოგრაფირების გამოყენება. სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეს არ დაერთვის“.

105-ე მუხლის 1-ელ პუნქტს სიტყვის „ექსპერტებს“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტებს“;

106-ე მუხლის სათაურს სიტყვის „ექსპერტის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტის“, ხოლო ამ მუხლის პირველ ნაწილს სიტყვის „ექსპერტის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტის“ და მესამე ნაწილში ნაცვლად სიტყვების „ექსპერტსა და თარჯიმანს“ დაიწეროს: „ექსპერტს, სპეციალისტსა და თარჯიმანს“.

139-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვის „ექსპერტს“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტს“.

161-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დაპირისპირების მონაწილეთა იმ ჩვენებების გამოქვეყნება, რომლებიც შეტანილია წინა დაკითხვათა ოქმებში, აგრეთვე ამ ჩვენებების ხმის ჩანაწერის რეპროდუქცია დასაშვებია მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ისინი მისცემენ ჩვენებას დაპირისპირების დროს და, როდესაც ეს ჩვენება ჩაიწერება ოქმში“.

169-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„გამომძიებელს შეუძლია ამოღების ან ჩხრეკის წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად გამოიძახოს შესაბამისი სპეციალისტი, თუ ეს აუცილებელია“.

175-ე მუხლის მეოთხე ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„გამომძიებელს შეუძლია ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ძიებისა წარმოებაში მონაწილეობისათვის გამოიძახოს შესაბამისი სპეციალისტი, თუ ეს აუცილებელია“.

179-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვის „ფოტოგრაფირებას“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „კინოგადაღებას“;

183-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვის „ფოტოგრაფირებას“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „კინოგადაღებას“, ხოლო მესამე ნაწილს სიტყვა „ექსპერტები“-ს შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტები“. და შემდეგ სიტყვები: „თუ აუცილებელია, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების ამოღება წარმოებს სპეციალისტის მონაწილეობით“.

201-ე მუხლის მეორე ნაწილს დაემატოს სიტყვები: „თუ წინასწარი გამოძიების დროს გამოყენებული იყო კინოგადაღება ან ხმის ჩაწერა, დაზარალებული ეცნობა ამ მასალებს თავისი თხოვნით“;

202-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვა „დანომრილი“-ს შემდეგ დაემატოს: სიტყვები „თუ წინასწარი გამოძიების დროს გამოყენებული იყო კინოგადაღება ან ხმის ჩაწერა, ამ მასალებს აცნობენ ბრალდებულსა და მის დამცველს“;

203-ე მუხლის მე-4 პუნქტს სიტყვის „ექსპერტს“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტს“;

231-ე მუხლის მე-6 პუნქტში სიტყვები „და ექსპერტები“ შეიცვალოს სიტყვებით „ექსპერტები და სპეციალისტები“;

263-ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„სასამართლო განხილვის დროს დასაშვებია დაკითხვათა ხმის ჩაწერა. ამ შემთხვევაში ფონოგრამა ერთვის სამსჯავრო სხდომის ოქმს, რომელშიც აღინიშნება, რომ გამოყენებული იყო ხმის ჩაწერა“.

266-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „და ექსპერტების“ ნაცვლად ჩაიწეროს სიტყვები „ექსპერტების და სპეციალისტების“;

274-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვის „ექსპერტად“-ს შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტად“, ხოლო ნაცვლად სიტყვებისა „თარჯიმანსა და ექსპერტს“ დაიწეროს „თარჯიმანს, ექსპერტსა და სპეციალისტს“;

275-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვები „ან ექსპერტის“ შეიცვალოს სიტყვებით „ექსპერტის ან სპეციალისტის“.

279-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „და ექსპერტის“ შეიცვალოს სიტყვებით „ექსპერტის და სპეციალისტის“.

281-ე მუხლში სიტყვების „და ექსპერტების“ ნაცვლად დაიწეროს სიტყვები „ექსპერტთა და სპეციალისტთა“;

293-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „და ექსპერტს“ შეიცვალოს სიტყვებით „ექსპერტსა და სპეციალისტს“;

295-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „და ექსპერტის“ შეიცვალოს სიტყვებით „ექსპერტთა და სპეციალისტთა“, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ნაცვლად სიტყვებისა „და ექსპერტს“ დაიწეროს სიტყვები „ექსპერტს-სპეციალისტს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 30 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 185 იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დადგინდეს, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომელთაც არ სურთ შეასრულონ კონსტიტუციური მოვალეობა, — პატიოსნად იშრომონ უნარის მიხედვით, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაებმებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იმ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში ან საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც განლაგებულია მათი საცხოვრებელი ქალაქის ან რაიონის ფარგლებში.

თუ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სამუშაოზე გაგზავნილი პირი არ შეუდგება მუშაობას ან სამუშაოზე მოწყობის შემდეგ ფაქტიურად თავს არიდებს მუშაობას, მაშინ ამ პირს მილიციის ორგანოების, აგრეთვე საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციის და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარდგინების საფუძველზე სახალხო სასამართლოს დადგენილებით შეეფარდება გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ხელფასის 10 პროცენტის დაკავებით.

იმ შემთხვევაში, თუ ეს პირნი თავს არიდებენ გამასწორებელ სამუშაოებს, მილიციის ორგანოების წარდგინებით სასამართლოს შეუძლია გამასწორებელი სამუშაოები შეცვალოს თავისუფლების აღკვეთით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლში გათვალისწინებული წესით.

2. იმ პირთა გამოვლინებას, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, და ამასთან დაკავშირებულ ყველა გარემოებათა შემოწმებას აწარმოებენ მილიციის ორგანოები, როგორც მათ განკარგულებაში არსებული მასალების, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე.

შემოწმების დამთავრებისას მილიციის ორგანოები აფრთხილებენ აღნიშნულ პირთ, რომ სამუშაოზე მოეწყონ ერთი თვის ვადაში.

თუ ეს პირნი გაფრთხილების შემდეგაც არ დაიწყებენ მუშაობას, მილიციის ორგანოები მასალებს მათ შესახებ წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, აგრეთვე სახალხო სასამართლოს დადგენილება იმ პირის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას თავს არიდებს და ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. იმ საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაც გაიგზავნებიან ის პირნი, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი მოწყობა სამუშაოზე და აწარმოონ მათთან აღმზრდელობითი მუშაობა.

5. კონტროლი, პარაზიტული ელემენტების სამუშაოზე გაგზავნის შესახებ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებაზე ეკისრება მილიციის ორგანოებს.

6. ის პირი, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე გასახლებულ იქნა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, უნდა გათავისუფლდეს გასახლების ადგილიდან და, ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლის შესაბამისად, სამუშაოზე აუცილებლად უნდა მოეწყოს ერთი თვის განმავლობაში წინანდელ საცხოვრებელ ადგილას მშრომელთა დეპუტატების იმ რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, სადაც იგი წინად ცხოვრობდა.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულება „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 17, მუხ. 273) და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 16 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას" შეფარდების წესის თაობაზე".

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს ამ ბრძანებულების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 30 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 186 „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ქ. თბილისის ლენინისა და პირველი მაისის რაიონებსა და ქალაქ ფოთში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც მოისმინა იურიდიული განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალები თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულება „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის ლენინის და პირველი მაისის რაიონებისა და ქალაქ ფოთის საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოები იშვიათად იყენებენ აღნიშნულ ბრძანებულებას, რითაც უგულვებელყოფენ საზოგადოებრიობის როლს მტაცებლობასთან ბრძოლაში.

ამის შედეგია, რომ მთელ რიგ მსხვილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების შემთხვევებზე რეაგირებას უფრო მეტად ახდენენ უშუალოდ საწარმოებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციები და ამხანაგურ სასამართლოებს განსახილველად თითქმის სრულებით არ უგზავნიან მასალებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების გამო. მაგალითად, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში 1966 წლის ათი თვის განმავლობაში იყო წვრილმანი გატაცების 68 შემთხვევა, აქედან ამხანაგურ სასამართლოს გადაეცა მხოლოდ 18, დანარჩენის მიმართ კი კომბინატის ადმინისტრაციამ თვითონ მიიღო ზომები (სამუშაოდან დათხოვნა, საყვედური და სხვ.). ფოთის ნავსადგურის პირველ საწარმოო რაიონში წვრილმანი გატაცების 11 შემთხვევიდან ამხანაგურ სასამართლოს გადაეცა 5. ასეთივე მდგომარეობაა ფოთის წისქვილკომბინატშიც. შემოწმებულ 13 მსხვილ სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა ამხანაგურ სასამართლოებს განხილული აქვთ წვრილმანი გატაცების 58 საქმე მაშინ, როდესაც ამ ობიექტებზე საერთოდ გამოვლინებული იყო 94 შემთხვევა.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების საქმეების განხილვისას ამხანაგური სასამართლოები უმეტეს შემთხვევებში დამნაშავეებს უფარდებენ საზოგადოებრივ გაკიცხვას ან საყვედურს და იშვიათად იყენებენ 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ზემოქმედების ღონისძიებებს, — ჯარიმას, ზარალის ანაზღაურებას. მაგალითად, ქ. თბილისის № 1 და № 2 თამბაქოს ფაბრიკების ამხანაგურმა სასამართლოებმა, რომლებმაც 1966 წლის განმავლობაში განიხილეს 21 საქმე თამბაქოს ნაწარმის გატაცების გამო, მხოლოდ ერთ საქმეზე გამოიყენეს ბრძანებულებით გათვალისწინებული ჯარიმა, იმ დროს, როდესაც დამნაშავეთა უმრავლესობა იმსახურებდა

გაკიცხვაზე მეტ სასჯელს. ქალაქ ფოთის 8 ამხანაგური სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიდან არც ერთზე არ არის გამოყენებული დაჯარიმება.

1966 წლის 28 მაისის ბრძანებულების შესრულებაში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ ადგილებზე ცუდად ერკვევიან აღნიშნულ ბრძანებულებაში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ არ ეხმარებიან ამხანაგურ სასამართლოებს 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების ზუსტად გატარებაში, არ გაუცვნიათ იგი ფართო საზოგადოებრიობისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის, არ იხილავენ ამ ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობას და არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს მუშაკები აღნიშნულ ბრძანებულებას იშვიათად იყენებენ პრაქტიკულ საქმიანობაში და ნაკლებ დახმარებას უწევენ ამხანაგურ სასამართლოებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეთა სწორად განხილვაში.

მილიციის ადგილობრივი ორგანოები, ხშირ შემთხვევაში, მასალებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების შესახებ უგზავნიან მხოლოდ მშრომელთა კოლექტივებს დამნაშავის ხელახლა აღზრდისათვის და არა ამხანაგურ სასამართლოებს, ამასთან არ აინტერესებთ თუ რა ზომები მიიღეს ამ მასალების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უახლოეს დროში შეამოწმონ და განიხილონ „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; მეტი ყურადღება დაუთმონ მოქმედი კანონმდებლობის პროპაგანდას;

ბ) უფრო აქტიური გახადონ აღმასკომთან შექმნილ ამხანაგურ სასამართლოთა საზოგადოებრივი საბჭოების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ ამხანაგურ სასამართლოებს ჰქონდეთ საჭირო საკანონმდებლო მასალა, სისტემატურად ეწყობოდეს თათბირ-სემინარები და მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარება.

2. საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, პროფკავშირის საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს ამხანაგური სასამართლოების მუშაობის სწორად წარმართვაში, მიაღწიონ იმას, რომ ყველა ამხანაგური სასამართლო კარგად იცნობდეს და სწორად იყენებდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულებას.

3. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ, რესპუბლიკის პროკურატურამ და საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გააძლიერონ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების შემთხვევათა ასაცილებლად. უზრუნველყონ, რომ მათდამი დაქვემდებარებული ორგანოები განუხრელად ასრულებდნენ 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულებას.

